№

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1923 წლის დეკემბრის 31.	№ 13. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 48. მტკიცე ააკაციზო განაკვეთის ჩერვონეცის ანგარიშში გამოხატვისა და ყაკისა და ჩაის სუროგატის და ციკორის აკციზით დაბეგვრის გაუქმების შესახებ.

„ 249. ინვალიდთა წარმოებითი შენაერთების სახელმწიფო სარეწავი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

„ 250. სახელმწიფო სარეწავი გადასახადის განაკვეთის ჩერვონეცით გამოანგარიშების შესახებ.

„ 251. მეშუთა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის განთავისუფლების შესახებ სხვადასხვა ფუნქციისაგან.

„ 252. შესაკრები სამობილიზაციო პუნქტების დაცვის შესახებ.

„ 253. ამიერკავკასიის ფულის ნიშნების უფრო დიდი კუპიურების სახმარებლად გამოშვების შესახებ.

„ 254. უნიშანწყლო ქაღალდზე დაბეჭდილი ამიერკავკასიის 5 მილიონიანი ფულის ნიშნის ხმარების შესახებ.

„ 255. დებულება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული შინა-ვაპრობის კომისიის შესახებ.

„ 256. დებულება სახალხო მანძილ-შეერთებულობის მართვა-გამგეობის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ საბჭ რესპ. ტერიტორიაზე

„ 257. საგარეო ვაპრობის შესახებ.

„ 258. კეროსინის ააკციზო დაბეგვრის განაკვეთის შემცირების შესახებ.

„ 259. მასსური მოხმარების საგანთა გაიაფების ღონისძიებათა შესახებ.

„ 260. ლიცენზიების შესახებ.

„ 261. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიებისა და საკალაკო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული შეფთა ბიუროების დებულების IV კარის 12 მუხ. შეცვლის შესახებ.

„ 262. დებულება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ნედლეულობის კომიტეტის შესახებ.

„ 263. სამაზრო საფინანსო განყოფილებათა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოთ შემოღების შესახებ. დებულება სამაზრო საფინანსო განყოფილებათა შესახებ.

„ 264. ბენზინის ააკციზო დაბეგვრის განაკვეთის შემცირების შესახებ.

„ 265. 1923 წლის სიმინდის მოსავლის საზღვარგარეთ ექსპორტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკიდან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—3 მან. და 20 კაპ. ვედროზე, ან 26 კაპ. ლიტრზე; ბ) ხილეულობის ღვინო—3 მან. 20 კაპ. ვედროზე ან 26 კაპ. ლიტრზე; გ) ყურძნის ღვინო 14 გრადუსზე მეტი სიმაგრით, ხოლო არა უმეტეს 20 გრადუსისა და აგრეთვე დესერტისა და „იზიუმის“ ღვინო—2 მან. და 24 კაპ. ვედროზე ან 18,2 კაპ. ლიტრზე, ხოლო ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკიდან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—8 მან. ვედროზე, ან 65 კაპ. ლიტრზე; დ) მონავარდე ღვინო (შუშხუნა ღვინო, დამზადებული შამპანიურისდაგვარად) — 20 მან. ვედროზე ან 1 მან. და 63 კაპ., ლიტრზე.

ბ. უცხოეთიდან შემოტანილი: ა) ღვინო, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსამდე—6 მან. და 40 კაპ. ვედროზე ან 52 კაპ. ლიტრზე; ბ) ღვინო, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსზე მეტს, ხოლო არა უმეტეს 20 გრადუსისა—16 მან. ვედროზე ან 1 მან. და 30 კაპ. ლიტრზე; გ) მონავარდე ღვინო (შუშხუნა ღვინო, დამზადებული შამპანიურისდაგვარად)—40 მან. ვედროზე ან 3 მან. და 25 კაპ. ლიტრზე.

გ. ღვინის ძმარი—64 კაპ. ვედროზე ან 5,2 კაპ. ლიტრზე.

2. სპირტი: ა) პურეულისა და გამოხდილი დაჩირული ხილეულობისაგან—24 კაპ. გრადუსზე; ბ) გამოხდილი ყურძნეულობისაგან და ნედლი ხილეულობისაგან —2 კაპ. გრადუსზე; გ) კონიაკის სპირტი—5 კაპ. გრადუსზე, ხოლო ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკიდან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—30 კაპ გრადუსზე.

ამის გარდა, დამატებით დაიბეგვრება: ა) კონიაკი—5 მან. ვედროზე ან 40,6 კაპ. ლიტრზე, ხოლო ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკიდან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—13 მან. და 20 კაპ. ვედროზე ან 1 მან. და 0,8 კაპ. ლიტრზე; ბ) არაყეულობა—10 მან. და 60 კაპ. ვედროზე ან 86 კაპ. ლიტრზე.

შენიშვნა. ტეხნიკური, ქიმიური და სხვა სპეციალური საჭიროებისათვის გაცემული უმი და რექტიფიკატი სპირტი დაიბეგვრება აქციზით საერთო საფუძველზე.

3. ლუდი—1 მან. და 30 კაპ. ვედროზე, ან 10,5 კაპ. ლიტრზე.

4. საპმლის მარილი—10 კაპ. ფუთზე, ან 0,6 კაპ. კილოგრამზე, ხოლო ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკიდან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—45 კაპ. ფუთზე, ან 3 კაპ. კილოგრამზე.

ნავთის პროდუქტები: ა) ნავთის სანათი ზეთი და სხვა ნახადი გამქვირვალე პროდუქტი (სანათი და საცხებელი ზეთი), ბენზინის გარდა—80 კაპ. ფუთზე ან 5 კაპ. კილოგრამზე; ბ) ბენზინი—1 მან. და 60 კაპ. ფუთზე ან 10 კაპ. კილოგრამზე.

6. შაქარი: **ა)** პარხლისა კრისტალისებური: ა) ფხვნილი—4 მან. ფუთზე ან 24 კაპ. კილოგრამზე; ბ) შაქარი—რაფინადი—5 მან. ფუთზე ან 30 კაპ. კილოგრამზე **ბ)** სახამებლის შაქარი სითხედ და გამაგრებული (სახამებლის ბადაგი, „გლიუკოზა“ და რაფინადი—შაქარი კრისტალისებური და არაკრისტალისებური)—1 მან. და 60 კაპ. ფუთზე ან 10 კაპ. კილოგრამზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სახარინი და სხვა თანაგვარი ხელოვნურად დატკბილებული ნივთიერება—13 მან. და 20 კაპ. გირვანქა ბრუტო ან 32 მან. და 20 კაპ. კილოგრამი ბრუტო.

8. ჩაი: **ა. უცხოეთისა**; ა) შავი ჩაი (ბაიხოვი)—1 მან. და 20 კაპ. გირვანქაზე ან 2 მან. და 90 კაპ. კილოგრამზე; ბ) ჩაი ფილებად—70 კაპ. გირვანქაზე ან 1 მან. და 70 კაპ. კილოგრამზე; გ) აგურის ჩაი—30 კაპ. გირვანქაზე ან 75 კაპ. კილოგრამზე. **ბ. ჩაი ადგილობრივი**:—20 კაპ. გირვანქაზე ან 50 კაპ. კილოგრამზე, ხოლო ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკიდან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—1 მან. და 20 კ. გირვანქაზე ან 2 მან. და 90 კაპ. კილოგრამზე.

9. ყავა ნატურალური, უმი ან დახალული და დაფქული—80 კაპ. გირვანქაზე ან 1 მან. და 95 კაპ. კილოგრამზე.

10. საფუარი: ა) დაწნეხილი და აგრეთვე ხმელი, გაკეთებული დაწნეხილი საფუარის დამზადების წესით, როცა დამატებულია ფქვილი ან სხვა მისი თანაგვარი მასალა იმ რაოდენობით, რაც საჭიროა საფუარის ცომის გასამაგრებლად—26 კაპ. გირვანქაზე ან 64 კაპ. კილოგრამზე; ბ) ხმელი საფუარი, გაკეთებული დაწნეხილი საფუარის გახმობით განსაკუთრებული საშუალებით—80 კაპ. გირვანქაზე ან 1 მან. და 95 კ. კილოგრამზე.

11. სანთელი თაფლისა, ქანცცვილისა, პარაფინისა, სტეარინისა და სხვ.—80 კაპ. გირვანქაზე ან 1 მან. და 95 კაპ. კილოგრამზე.

12. პაპიროსის გილზი—26 კაპ. 1000 ცალზე.

შენიშვნა. გილზი, რომელიც თამბაქოს ქარხანაში მოხმარებულ იქნება პაპიროსის დასამზადებლად - აქციზით არ დაიბეგვრება.

13. წუმწუმის ასანთი: კოლოფი, რომელიც 75 წკირზე მეტს არ შეიცავს,—ორი მესამედი კაპ.; კოლოფი, რომელიც 75 წკირზე მეტს შეიცავს, ხოლო არა უმეტეს 150 წკირისა— $1^1/_3$ კაპ.; კოლოფი რომელიც 150 წკირზე მეტს შეიცავს, ხოლო არა უმეტეს 225 წკირისა—2 კაპ. და სხვ.

14. შირის კალოში: ა) ადგილობრივი წარმოების კალოში—26 კაპ. წყვილზე; ბ) უცხოეთიდან შემოტანილი კალოში—52 კაპ. წყვილზე.

შენიშვნა. ადგილობრივი წარმოების საბავშო კალოშს დაედება ნახევარი აქციზი.

15. პაპიროსი, რომელიც დამზადდება საპაპიროსო სახელოსნოში აქციზგადახდილი ბანდეროლიანი თამბაქოსაგან და აქციზ-გადახდილი ბანდეროლიანი გილზისაგან, დამატებით დაიბეგვრება 26 კაპ. როოდენობით 1000 ცალზე.

V. გუუმებული იქნეს თაფლისა, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლის აქციზით დაბეგვრის არსებული სისტემა და ამის ნაცვლად:

1. აქციზის გადახდა თაფლისა და კვასისათვის,—რომელიც ალკოჰოლს $1^1/_2$ გრადუსზე მეტს არ შეიცავს (ტრალესით), და ხილეულობის და ხელოვნური მინერალური წყალისათვის დაწესდეს განსაკუთრებული პატენტის აღებით.

შენიშვნა. თაფლი, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 1 $^1/_2$ გრადუსზე მეტს, ხოლო არა უმეტეს 8 გრადუსისა (ტრალესით), დაიბეგვრება აქციზით ხილეულობის ღვინისათვის დაწესებული განაკვეთისამებრ. 8 გრადუსზე უმაგრესი თაფლის გაკეთება—არ შეიძლება.

2. პატენტი 1-ლ მუხლში აღნიშნული სასმელების დასამზადებლად არის: ა) ძირითადი და ბ) დამატებითი. ძირითადი საპატენტო გამოსაღები შეტანილ უნდა იქნეს ხაზინაში წინდაწინვე წლის მეოთხედობით, ხოლო დამატებითი გადახდილ უნდა იქნეს მარტოოდენ იმ შემთხვევაში, როდესაც რაოდენობა დამზადებული თაფლისა, კვასისა და ხილეულობისა და მინერალური ხელოვნური წყალისა—აღემატება მე-4 მუხლში აღნიშნულ ნორმას.

3. თაფლისა, კვასისა ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლის დამზადების საწარმონი თავიანთი ადგილმდებარობის მიხედვით—განიყოფებიან სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთნება ტფილისისა და ბაქოს საწარმონი, მეორე ჯგუფს—ბათომისა, ქუთაისისა, ერევნისა და განჯის საწარმონი და მესამეს—საწარმონი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ყველა დანარჩენი ადგილისა.

4. თაფლისა, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყალის დამზადების უკიდურეს სანახევარწლო ნორმად ძირითადი პატენტით დაწესებულ იქნეს: პირველი ჯგუფის საწარმოთათვის—4.000 ვედრო, მეორე ჯგუფის საწარმოთათვის—1.500 ვედრო და მესამეთათვის—750 ვედრო.

5. თაფლისა, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლის დამზადების ძირითადი საპატენტო გამოსაღების განაკვეთი დაწესდება ჩერვონეცის ანგარიშით ნახევარწლობით—აპრილის 1-დან სექტემბრის 30-დე და ოქტომბრის 1-დან მომავალი წლის მარტის 31-დე—შემდეგი რაოდენობით: პირველი ჯგუფის საწარმოთათვის—1.040 მან., მეორე ჯგუფის საწარმოთათვის—390 მან და მესამეთათვის—195 მ.

6. დამატებითი საპატენტო გამოსაღები თაფლისა, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლის დამზადებისათვის იმ ნორმაზე ზევით, რაც განსაზღვრულია ძირითადი პატენტით (მუხ.4),—შეტანილ უნდა იქნეს ხაზინაში წინდაწინვე ჩერვონეცის ანგარიშით და და შემდეგი რაოდენობით: პირველი ჯგუფის საწარმოთათვის 1000 ვედროზე—260 მან, მეორე ჯგუფის საწარმოოთათვის 500 ვედროზე—130 მან. და მესამე ჯგუფის საწარმოთათვის 250 ვედროზე—65 მან.

შენიშვნა: საანგარიშო ნახევარი წლის დასასრულს ხაზინაში შეტანილი დამატებითი საპატენტო გამოსაღები, რაც ამ ნახევარ წელიწადში არ იქნება გამოყენებული ამა მუხლში აღნიშნული რაოდენობის სასმელის დასამზადებლად,—მიიღება სათვალავში ახალი წლისათვის ძირითადი საპატენტო გამოსაღების გასტუმრების დროს იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ვედრო დარჩა დაუამზადებელი.

7. თაფლისა, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყალის დამზადებისათვის მიცემულ პატენტს არავითარი დამატებითი გამოსაღები არ დაედება.

VI. გაუქმებულ იქნეს ყავისა და ჩაის სუროგატებისა და ციკორის აქციზით დაბეგვრა.

VII. ხელთ-ქონებული მარაგი აქციზ-დასადები საგნებისა, რაც ამ დადგენილების სამოქმედოდ შემოღების დღისათვის აღმოჩნდება მათი წარმოებისა და ამოღების ადგილას, საბაზისო და საბითუმო საწყობში და აგრედვე საბაჟოში, რკინის გზის სადგურზე, ნავთსადგურში ან გზაში და რომლებისათვისაც აქციზი გადახდილ იქნება მტკიცე განაკვეთით,—ამა დადგენილების განაკვეთზე ნაკლები,—დაიბეგვრება დამატებითი აქციზით აღნიშნულ განაკვეთთა განსხვავების რაოდენობით.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**
ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. დეკემბრის 1-ს თარიღის 277 №-ში.

დადგენილება № 108 ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ოქტომბრის 17.

249. ინვალიდთა წარმოებითი შენაერთების სახელმწიფო სარეწავი გადასახადისგან განთავისუფლების შესახებ.

სეხელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა 1923 წ. № 7, მუხ. 73) 14 მუხლის საფუძველზე—ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს სახელმწიფო სარეწავი გადასახადისაგან ინვალიდთა წარმოებითი შენაერთები, რასაც მოაწყობენ სოციალური დაზღვევის ორგანოები.

2. აღიარებულ იქნეს სარეწავი გადასახადისაგან განთავისუფლებულად საწარმონი, რაც პირველ მუხლში აღნიშნულ ინვალიდთა შენაერთებს უტარავთ საკუთარი წარმოების ნაკეთობათა გასაყიდათ.

3. უკეთუ მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საწარმოებში მოხდება აგრეთვე ოპერაციები სხვისი წარმოების ნაკეთობათა გაყიდვისათვის,—ხსენებული ოპერაციები დაიბეგვროს სარეწავი გადასახადით საერთო საფუძველზე.

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებ.
დროებ. აღმასრ. **ნ. ივანიშვილი.**
ამერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივ. თანამდ. დროებ. აღმასრ. **ს. ლეკაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. დეკემბრის 1-ს თარიღის 277 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 109 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ნოემბრის 6.

250. სახელმწიფო სარეწავი გადასახადის ჩერვონეცით გამოანგარიშების შესახებ.

სახელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების (კანონთა და განკარგულებათა კრებული № 7, მუხ. 73) მე-6 და მე-8 მუხლის 1-ლი დანართისა და მე-3 მუხლის მე-3 დანართის შესაცვლელად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს სარეწავი გადასახადის ჩერვონეცით გამოანგარიშება თანახმად ამასთანავე დართული სარეწავი გადასახადის საზოლო განაკვეთის განაწილებისა და სამრეწველო საწარმოთათვის სარეწავი გადასახადის კატეგორიების და საზოლო განაკვეთის განაწილებისა.

2. სარეწავი მოწმობა, აღებული ჩერვონეცის ანგარიშის შემოღებამდე ძალაში დარჩება ამ მოწმობაში აღნიშნული ვადის გასვლამდე და არავითარი დამატებითი გადასახადი არ დაედება.

3. დაწესდეს ჩერვონეცის მანათის საშუალო კურსი, რათა ღირებულება იმ სარეწავი მოწმობისა, რომელიც ჩერვონეცის ანგარიშზე გადასვლამდე აღებულია 1923—1924 წ. პირველი ნახევარწლისათვის, ჩათვლილ იქნეს დამატებითი სარეწავი გადასახადის გასასტუმრებელ თანხაში, რაც ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით უდრის ექვს მილიონ ექვსას ათას (6.600.000) მან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო.
კომისართა სააჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დროებით აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“ს 1923 წ. დეკემბრის 4-ს თარიღის 279 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1-ლი—დებულების 6 და 8 მუხლისა.

განაწილება სარეწავი გადასახადის კატეგორიებისა და საზოლო განაკვეთისა სამრეწველო საწარმოთათვის.

(ფასი სანახევარწლო სარეწავი მოწმობისა ჩერეონეცის მანათით).

კატეგორია.	მუშათა რიცხვი.	ზ ო ლ ე ბ ი.				
		1	2	3	4	5
1	არა უმეტეს . . . 3	3	2,50	2	1,50	1
2	3 მეტი 6-დე	6	5	4	3	2
3	6 „ 12 „	10	8,5	6,5	5	3,25
4	12 „ 30 „	20	17	14	10	6
5	30 „ 60 „	30	25	20	16	12
6	60 „ 100 „	40	35	30	25	20
7	100 „ 150 „	50	45	40	35	30
8	150 „ 200 „	60	55	50	45	40
9	200 „ 300 „	90	85	80	75	70
10	300 „ 500 „	200	200	200	200	200
11	500 „ 1.000 „	400	400	400	400	400
12	1.000	800	800	800	800	800

შენიშვნა 1. I-VIII კატეგორიების საწარმონი, იმათ გარდა, რაც დასახელებულია შემდეგ შენიშვნაში, უკეთუ მათ აქვთ მექანიკური მამოძრავებელი, დაიბეგრებიან ერთი კატეგორიით იმაზე მეტად, რაც ეთანაბრება მუშათა რიცხვს.

შენიშვნა 2. ქვემოდასახელებული საწარმონი დაიბეგრება იმ კატეგორიაზე მეტად, რაც ეთანაბრება მუშათა რიცხვს:

ა) ერთი კატეგორიით: საიუველირო, საათებისა, ოქრო-ვერცხლის ნაკეთობისა, მხატვრული ბრინჯაოსი, ფიზიკური და სამედიცინო ინსტრუმენტებისა, წყალსადენის მოწყობა—რემონტისა, გაზის და ელექტრონის განათებისა, ქიმიური პროდუქტების დამზადებისა და ხელოვნური მინერალური წყალისა და კვასისა და აგრეთვე სპილენძისა, კერვისა და სახარაზო სახელოსნო, რომელიც უშუალოდ შემკვეთისათვის მუშაობს.

ბ) ორი კატეგორიით: ფოტოგრაფია, ფოტოტიპია, წისქვილი, ბრინჯეულის საღერღი, ზეთის სახდელი, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, საფუარისა, სასმელების სახდელი, ლუდი-თაფლისა და ძმრის ქარხანა, საპნისა და პარფიუმერიის ნაკეთობის ქარხანა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისარიატის საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დროებით აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისარიატ. საბჭოს მდივნის
თანამდებობის დროებით აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. დეკემბრის 4-ს თარიღის 279 №-ში.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

დანართი III-დებულების 3 მუხლისა.

განაწილება სარეწავი ბაღასახადის საზოლო განაკვეთისა

(ფასი სანახევარწლო სარეწავი მოწმობისა ჩერვონეცის ანგარიშით).

კატეგორია		ზოლები				
		1	2	3	4	5
1. სავაჭრო საწარმოსათვის.	I კატეგ. .	5	4	3	2	1
	II „ .	8	6	4	3	2
	III „ .	25	20	15	10	7
	IV „ .	85	65	45	30	20
	V „ .	300	200	150	100	80
სავაჭრო-სამრეწველო.						
2. სასაწყობო სადგომებისათვის სავაჭრო დ. სამრეწველო საწარმოებთან.	III, I-IV კატ.	5	4	3	2	1
	IV, VII-XI „	8	6	4	3	2
	V, X-XII „	14	10	7	5	3
3. პირადი სარეწავი მოსაქმეობისათვის.	I კატეგ. .	2	1,75	1,50	1,25	1
	II „ .	3	2,5	2	1,5	1,25
	III „ .	5	4	3	2,5	2
	IV „ .	9	7,5	6	4,5	3
	V „ .	25	20	15	12,	10

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბქ რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდ. დრ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა-ს“ 1923 წლის დეკემბრის 4-ს თარიღის 279 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

251. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის განთავისუფლების შესახებ სხვადასხვა ფუნქციისაგან.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მოეხსნას მუშათა და გლეხთა ინსპექციას შემდეგი ფუნქციები:

1) სავალდებულო დოკუმენტალური კონტროლი და შემდგომი მთლიანი დოკუმენტალური რევიზია ყველა სახალხო კომისარიატის საშემოსავლო და საგასავლო დოკუმენტებისა, ხოლო დაევალოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას წარადგინოს ხოლმე საერთო დასკვნა ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხის შესრულების შესახებ შედგენილი ანგარიშის თაობაზე.

შენიშვნა. შემდგომი დოკუმენტალური კონტროლი შემოსავალ-გასავლისა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიაც ამ კონტროლის განგრძობა საჭირო იქნება,—დაეკისრება ფინანსთა სახალხო კომისარიატს საამისო ცალკე დებულების წესისამებრ.

2) სავალდებულო წინასწარი განხილვა უწყებების სააღრიცხვო განზრახულებათა.

3) დასკვნის მიცემა ცალკე სახელმწიფო, ადმინისტრატიულ და სამეურნეო ორგანოებისათვის საშუალებათა მიცემის შესახებ როგორც აღრიცხვის ზედმეტი კრედიტების წესით, ისე სესხისა და დახმარების მიცემის წესით, ხოლო აღნიშნული ფუნქციები ამიერიდან დაეკისროს ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

შენიშვნა. ამიერკავკასიაში სახელმწიფო გეგმის სამმართველოს მოწყობის შემდეგ, დასკვნას მე-3 მუხლში აღნიშნული საკითხების შესახებ მისცემენ სახელმწიფო გეგმის სამართველო და ფინანსთა სახალხო კომისარიატი—კუთვნილებისამებრ.

4. მეთვალყურეობა ცალკე ღონისძიებათა განხორციელებისათვის ფინანსიური მმართველობის სფეროში, როგორიც არის: მეთვალყურეობა საღაროთა ერთიანობის შესახებ გამოცემული დეკრეტებისა და დადგენილებების აღსრულებისათვის, იმ საავანსო ასიგნებათა დეკრეტებისა და დადგენილებების აღსრულებისათვის, რაც აღემატება სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ ნორმას და სხვ., ხოლო ეს ფუნქციები დაეკისროს მარტოოდენ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

5. სავალდებულო მონაწილეობა ხარჯების ყოველთვიური განაწილების განხილვაში უწყებათათვის კრედიტების მისაცემად და ამ კრედიტების მოსახმარებლად, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ დაწესებულებებში.

6) განხილვა საკითხებისა კრედიტების გადატანის შესახებ აღრიცხვის ერთი ნაწილიდან მეორეში, აგრეთვე საკითხებისა საკრედიტო სიების შედგენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ, და კრედიტების გადარიცხვის შესახებ საერთიერთო ანგარიშ-გასწორების განყოფილებაში და წინაუკმო შესრულება ანგარიშებისა და აგრეთვე ყოველგვარი საკითხი, რაც დაკავშირებული კრედიტის დახურვასთან აღრიცხვის დამთავრებისას; ამასთანავე ყველა აღნიშნული მოვალეობა დაეკისროს ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

7. ყოველგვარი მთლიანი მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა სახელმწიფო ორგანოთა ცალკე ფულადი ოპერაციებისა და, ამასთან დაკავშირებით, მონაწილეობა მასალისა და ფასეულობის მიღებაში და ჩაბარებაში, მონაწილეობა საჯარო ვაჭრობის წარმოებაში, საავალდებულო რევიზია სახელმწიფო ორგანოთა მოქმედების ცალკე დარგისა, რაც აღიძვრის კერძო განცხადების ან საჩივრის გამო და აგრეთვე ცალკე სახალხო კომისარიატების ცნობისამებრ; მოწყობა მუდმივი სარევიზიო ჯგუფებისა ცალკე სახელმწიფო საწარმოში და დაწესებულებაში; გამოკვლევის მოხდენა პროკურატურისა, სასამართლოს და საგამომძიებლო ორგანოების მოთხოვნით და აგრეთვე საავალდებულო მეთვალყურეობა სწორი და ყაირათიან მეურნეობის თვალსაზრისით ხელშეკრულებათა დადებისათვის და სამუშაოს გაცემისათვის სხვადასხვა საგანთა დამზადების შესასრულებლად.

8. საავალდებულო მონაწილეობა საუწყებათაშორისო და უწყებათა თათბირებში და სხდომებში, სადაც ამ მონაწილეობას აქვს კონტროლის ხასიათი ან და ხასიათი ცალკე ორგანოთა მუშაობის შეთანხმებისა ყოველგვარი მცირე დავალებებისა და საკითხების სფეროში.

შენიშვნა. დაეკალოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს ორი კვირის განმავლობაში წარუდგინოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სია იმ მუდმივად მომქმედი კომისიებისა, რომლებშიაც მონაწილეობს მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

9. საავალდებულო წარდგენა დასკვნისა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში ყოველგვარი საკითხის შესახებ, რასაც უშუალო კავშირი არ ექნება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ახალ მიზნებთან სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების სფეროში.

10. აღსრულება სპეციალურ მოვალეობათა, რაც მიმართული იქნება კერძო-უფლებრივი ინტერესის დაცვისთვის; მიღება და განხილვა განცხადებისა და საჩივრისა, რომელიც არ შეიცავს ცნობას სახელმწიფო აპარატის ნაკლის შესახებ ან იმის შესახებ, რომ თანამდებობის პირნი იჩენენ გულგრილობას მუშათა და გლეხთა საჭიროებისა და ინტერესებისადმი, რაც სახელმწიფო აპარატს მშრომელთა მასებს აშორებს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის დეკემბრის 7-ს თარიღის 282 №-ში.

დადგენილება № 110 ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ნოემბრის 16.

252. შესაკრები სამობილიზაციო პუნქტების დაცვის შესახებ.

რათა დაცულ იქნეს ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. უესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სამაზრო სამხედრო კომისარიატების შესაკრები სამობილიზაციო პუნქტები და აკრეთვე ის ქონება, რაც ამ პუნქტებში არის, —ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სამაზრო სამხედრო კომისარიატების შესაკრები სამობილიზაციო პუნქტების დაცვისა და მათი მუდმივი დარაჯობის საქმე დაეკისროს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს — კუთვნილებისაებრ.

ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპ. სახალხო
კომის. საბჭოს საქმ. მმართვ. თანამდ. დრ. აღმასრ. **ნ. ივანიშვილი.**

ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმასრ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. დეკემბრის 11-ს თარიღის 285 №—ში.

დადგენილება № 111 ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

253. ამერიკაკავკასიის ფულის ნიშნების უფრო დიდი კუპიურების სახმარებლად გამოშვების შესახებ.

რადგანაც სავაჭრო-მამრეწველო ალიბ-მიცემობა საჭიროებს ფულის ნიშნების უფრო დიდ კუპიურებს—გამოშვებულ იქნეს სახმარებლად არსებული მარგიდან ამერიკაკავკასიის ერთიანი 10.000.000 მანეთიანი ფულის ნიშანი იმ საფუძველზე, რაც დაწესებულია ამერიკაკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ 1923 წლის იანვრის 10-ს თარიღით ამერიკაკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის სახმარებლად გამოშვების შესახებ გამოცემული დეკრეტით.

ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ნ. ივანიშვილი**

ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის დეკემბრის 14-ს თარიღის 288 №-ში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის დეკემბრის 12.

254. უნიშანწყლო ქაღალდზე დაბეჭდილი ამიერკავკასიის 5 მილიონიანი ფულის ნიშნის ხმარების შესახებ.

რადგანაც ამიერკავკასიის 5.000.000 ფულის ნიშანი იბეჭდება, სხვათა შორის, უნიშანწყლო ქაღალდზედაც, ვაცხადებთ მისალოდნელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად, რომ ამიერკავკასიის ფულის ნიშნების აღნიშნულ კუპიურას აქვს კანონიერი მსვლელობა თანაბრად ნიშანწყლიან ქაღალდზე დაბეჭდილი კუპიურებისა და ამიტომ სავალდებულოა მისაღებად ყველა, გამოუნაკლისად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისათვის და აგრეთვე კერძო საწარმოსა და პირისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა
სახალხო კომისრის მოადგილე **ს. იზმაილოვი.**

საავალიუტო სამმართველოს უფროსის მაგიერ **ა. კალანთაროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის დეკემბრის 14-ს თარიღის 288 №—ში.

დადგენილება № 1 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

255 დებულება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული შინა-ვაჭრობის კომისიის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს შესახებ დამტკიცებული დებულების (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა მთავრობისა 1923 წლის ოქტომბრის 12, მუხ. 159) I განყოფილების 9 მუხლისა და III განყოფილების 1 მუხლის საფუძველზე—უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. შინა-ვაჭრობის მოწესრიგებისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში მოეწყოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან შინა-ვაჭრობის კომისია; კომისია შესდგეს თავმჯდომარისა და ოთხი წევრისაგან,—რომელთაც დანიშნავს უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

2. შინა-ვაჭრობის კომისიას დაეკისრება:

ა) შემუშავება ამ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური პოლიტიკის საერთო საფუძვლებისა შინა-ვაჭრობის სფეროში და აგრეთვე გამონახვა და განწორციელება ისეთ ღონისძიებათა, რაც ხელს შეუწყობს სავაჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ბრუნვის განვითარებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ეკონომიური პოლიტიკისა და ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური მიზნების მიხედვით.

ბ) საერთო ხელმძღვანელობა სავაჭრო პოლიტიკისა, მეთვალყურეობა და შეთანხმება ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულების სავაჭრო მოქმედებისა.

გ) განხილვა და შემუშავება ყველა საკითხისა, რაც კი შეეხება ვაჭრობის ორგანიზაციას და მოწესრიგება აღებ-მიცემობისა და საბაზრო ფასებისა, როგორც მაგალითად: შედგენა იმ საქონელთა სიისა, რომლის უკიდურეს ფასებს დაწესებს შინა-ვაჭრობის კომისია და ეს ფასები არ შეიძლება გადიდებულ იქნეს აღნიშნული კომისიის ნებადაურთველად; რაციონალიზაცია და გამარტივება სავაჭრო აპარატებისა, შუამავლობის სისტემისა და საქონლის მოძრაობისა; კალკულიაცია და ანგარიშგება; კრედიტებისა, ტვირთის გადაზიდვა-გადმოზიდვისა, საგადასახადო და საგაქიზო დაბეგვრის საკითხები და სხვ.

შენიშვნა. შინა-ვაჭრობის კომისიის გამგეობაში არის ყველა დაწესებულება, რომელსაც მიზნად აქვს ხელი შეუწყოს სავაჭრო ბრუნვის განვითარებას: სავაჭრო ბირჟა, ბაზრობა და სხვ.

დ) წინასწარი განხილვა და შეთანხმება ყველა საკითხისა, რომელიც შეეხება შინა-ვაჭრობას და რომელიც უწყებათა მიერ წარედგინება განსახილველად სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

ე) შემუშავება დეკრეტებისა და დადგენილების პროექტებისა სავაჭრო კანონმდებლობის სფეროში და აგრეთვე დასკვნის მიცემა ყველა დეკრეტებისა და დადგენილების შესახებ, რაც ცალკე უწყებათა მიერ წარედგინება დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს,

ვ) მეთვალყურეობა შინა-ვაჭრობის სფეროში არსებული წესით გამოცემული ყველა კანონისა და განკარგულების განხორციელებისათვის და საჭირო ღონისძიების ხმარება, სათანადო დაწესებულების მეშვეობით, არა სწორ და უკანონო დადგენილებათა და განკარგულებათა გაუქმებისათვის.

ზ) განხილვა საავქციო საზოგადოებათა წესდებებისა, გარდა უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობით არსებული საზოგადოების წესდებისა.

ი) წარმოება ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ერთიანი სავაჭრო რეესტრისა, განსაკუთრებული კანონის თანახმად, კერძოდ რეგისტრაცია საავქციო საზოგადოებისა, სახელმწიფო, სამრეწველო და სავაჭრო შენაერთისა (ტრესტისა, სინდიკატისა, მათი წარმომადგენლობისა და სხვ.) და აგრეთვე უცხოეთის ფირმისა, რომელსაც ნება აქვს აწარმოოს ოპერაციები ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თანახმად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში მომქმედი კანონდებულებისა.

3. 1-ლ და მე-2 მუხლში აღნიშნული მიზნის განსახოციელებლად შინა-ვაჭრობის კომისიას ნება ეძლევა.

ა) იხმაროს საჭირო ღონისძიება ვაჭრობის სწორი ორგანიზაციისათვის, სავაჭრო აპარატებისა, სავაჭრო შუამავლობის სისტემისა და საქონლის გადაზიდვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოზიდვის გამარტივებისათვის და აგრეთვე ყოველგვარი სხვა ღონისძიება აღებ მიცემობისა და საქონლის ფასების მოწესრიგებისათვის;

ბ) დაიწესოს ერთგვარი მეთოდი და ფორმა საქონლის კალკულაციის და ანგარიშგებისა, განსაზღვროს ნორმალური პროცენტი საორგანიზაციო და ზედნადები ხარჯისა და საქონლის ფასის სხვა დანამატისა და ნორმალური რაოდენობა სავაჭრო მოგებისა;

გ) დაიწესოს უკიდურესი გასაყიდი საბითუმო და ცალობით ვაჭრობის ფასები ადგილობრივი წარმოებისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში შემოტანილი საქონლისათვის.

შენიშვნა. ადგილობრივი ნედლი მასალის ფასებს განსაზღვრავს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ნედლეულობის კომიტეტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის კომისიის წარმომადგენლის მონაწილეობით.

4. ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულება ვალდებულია მიაწოდოს შინა-ვაჭრობის კომისიას, მისი მოთხოვნით, საჭირო მასალა და ცნობები, ნება მისცეს დაათვალიეროს ეს მასალა ადგილობრივ და აგრეთვე შეასრულოს კომისიის დავალებანი იმ მასალის შეკრეფის სფეროში, რაც საჭირო იქნება შინა-ვაჭრობის კომისიისათვის დაკისრებული მიზნების განსახორციელებლად.

5. შინა-ვაჭრობის კომისიის დადგენილება და განკარგულება მომქმედი დეკრეტებისა და დადგენილების ფარგლებში სავალდებულოა აღსასრულებლად, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოებისა და დაწესებულებისთვის. ის, ვინც ამას არ შეასრულებს ან დაარღვევს, პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსით შინა ვაჭრობის წესების დარღვევისათვის, უკეთუ არსებული კანონით დაწესებული არ არის სხვა, უფრო მძიმე, პასუხისმგებლობა.

6. შინა-ვაჭრობის კომისიის დადგენილება ფასების მოწესრიგების შესახებ ძალაში შედის იმ დღიდან, რა დღესაც მას გამოაქვეყნებს ან გამოაცხადებს ის, ვისაც ეს შეეხება, უკეთუ თვით დადგენილებაში სხვა რამ არ არის ნათქვამი.

7. შინა-ვაჭრობის კომისიის დადგენილება და განკარგულება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს დაინტერესებული დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში და სახალხო კომისართა საბჭოში-ხოლო ეს განსაჩივრება ვერ შეაჩერებს აღნიშნული დადგენილების თუ განკარგულების სისრულეში მოყვანას.

8. შინა-ვაჭრობის კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს ხოლმე ყოველგვარი პერიოდული და შუდმივი თათბირი, აგრეთვე მოაწყოს კომისია და სხვ., კომისიებისა, თათბირებისა და სხვ. შედგენილობას, კოპეტენციას და მუშაობის წესს განსაზღვრავს შინა-ვაჭრობის კომისია.

9. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ თვითეულ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკაში მოიწყობა შინა-ვაჭრობის კომისია, რომელიც შინა-ვაჭრობის მოწესრიგებას ამა თუ იმ რესპუბლიკის ტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტორიაზე განახორციელებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის კომისიის საერთო ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით.

10. მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის კომისიის დებულებას დაამტკიცებს რესპუბლიკის ეკონომიური საბჭო და უშვალოდ წარედგინება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის კომისიას. უკეთუ საჭირო იქნება აღნიშნული დებულების შეცვლა ან დამატება, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის კომისია წარუდგენს სათანადო მოხსენებას ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

11. შინა-ვაჭრობის კომისიას უფლება ეძლევა ამა დებულების განსავითარებლად გამოსცეს ხოლმე საჭირო ინსტრუქციები.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. დეკემბრის 15-ს თარიღის 289 №-ში.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

256. სახალხო მანძილ-შეერთებულობის მართვა-გამგეობის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

1923 წლის დეკემბრის 10.

1. მთავარი ხელმძღვანელობა და მართვა-გამგეობა მანძილ-შეერთებულობის ყველა დარგისა (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი და რადიო) ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეკუთვნის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს.

2. უშუალო მართვა-გამგეობა მანძილ-შეერთებულობისა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არის მანძილ-შეერთებულობის ამიერკავკასიის ოლქის სამმართველოს ხელში, რომელიც მოეწყობა და მოქმედებს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის სექტემბრის 7-ს განკარგულებისა და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის მაისის 7-ს განკარგულების საფუძველზე.

3. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან ჰყავს თავისი რწმუნებული, რომელიც იმავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს არის მანძილ-შეერთებულობის ამიერკავკასიის ოლქის უფროსი; ოლქის უფროსი დაინიშნება სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარიატების შესახებ გამოცემული საერთო დებულების 11 მუხლის წესისამებრ.

ამავე წესით დაინიშნება სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე.

4. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფოსტა ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის წინაშე; წარუდგენს თავისი მუშაობის ანგარიშს, როგორც სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს, ისე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს და განახორციელებს ყველა დადგენილებას ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის ორგანოებისას — თანაბრად სოციალისტური სობჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარიატების შესახებ გამოცემული საერთო დებულების 14 მუხლისა და სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დირექტივების.

5. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ყველა განკარგულება სავალდებულოა აღსასრულებლად მანძილ-შნერთებულობის ამიერკავკასიის ოლქის ტერიტორიაზე და შეიძლება შეჩერებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა ან მისი პრეზიდიუმის მიერ მხოლოდ იმ წესით, რაც აღნიშნულია სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის 59 მუხლში.

6. მანძილ-შეერთებულობის ამიერკავკასიის ოლქის ტერიტორიაზე მანძილ-შეერთებულობის ყველა დარგში მოქმედებს საერთო წესები და ნიხრი, რაც დადგენილია ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისათვის.

7. ვიდრე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკა შეტანილ იქნებოდეს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საერთო საფინანსო აღრიცხვაში, მანძილ-შეერთებულობის ამიერკავკასიის ოლქის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, შედგენილი მანძილ-შეერთებულობის ოლქის უფროსის მიერ, თანახმად სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის განმარტებისა,—წარედგინება დასამტკიცებლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო დამტკიცების შემდეგ აღრიცხვის ასლი გაეგზავნება სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს.

8. მანძილ-შეერთებულობის ამიერკავკასიის ოლქის ყველა შემოსავალი შეტანილ უნდა იქნეს მანძილ-შეერთებულობის ამიერკავკასიის ოლქის უფროსი სახელდახელო ანგარიშზე.

მანძილ-შეერთებულობის ყველა დარგის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯებს გასწევს ამიერკავკასიის ოლქის უფროსი დამტკიცებული აღრიცხვის

ეროვნული ბიბლიოთეკა
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფარგლებში, იმ საშუალებათა ხარჯზე, რაც არის უფროსის სახელდახელო ანგარიშზე. გამოსაღების ზედმეტი ნაწილი შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საღარაში.

უკეთუ აღრიცხვით ნებადართული ხარჯების გასასტუმრებლად შემოსავალი საკმარისი არ იქნება, დანაკლის თანხას დოტაციის სახით გასცემს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

9. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული შეადგენს საფოსტო სატელეგრაფო მანძილ-შეერთებულობის განვითარებისა, ექსპლოატაციისა და ორგანიზაციის გეგმას ამიერკავკასიის ოლქის ტერიტორიაზე და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასკვნითურთ წარუდგენს ამ გეგმას დასამტკიცებლად სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს.

10. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საკუთარი ცალკე აპარატი არა ჰყავს და დაკისრებულ მოვალეობათა აღსრულებისათვის სარგებლობს ოლქის სამმართველოს აპარატს.

11. რწმუნებული ვალდებულია, რაც შეიძლება, მჭიდრო საქმიანიკონტაქტი იქონიოს ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი სომხეთისა, აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკების უმაღლეს ორგანოებთან, რისთვისაც პირადათ გადასწყვიტს მანძილ-შეერთებულობის ყველა არსებით კითხვებს ამა რესპუბლიკებში და პეროიოდულად პირადად წარადგენს ხოლმე მოხსენებას მანძილ-შეერთებულობის მდგომარეობის შესახებ.

12. მუდმივ კონტაქტისა და მანძილ-შეერთებულობის ყველა კითხვების გასაშუქებლად ამიერკავკასიის ოლქის უფროსი სომხეთისა, აზერბაიჯანისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოებთან, მათთანვე შეთანხმებით, დანიშნავს თავის რწმუნებულებს.

შენიშვნა. სომხეთისა და აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭოებთან ოლქის რწმუნებულად არის გამგე იმ ადგილის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორისა, სადაც იმყოფება ესა თუ ის სახალხო კომისარიატი. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან ოლქის რწმუნებულად არის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული (ოლქის უფროსის) მოადგილე.

13. ოლქის რწმუნებულნი პასუხს აგებენ თავიანთი მოქმედებისათვის მანძილ-შეერთებულობის ამიერკავკასიის ოლქის წინაშე და თავიანთი მუშაობისათვის იხელმძღვანელენენ ოლქის უფროსისაგან მიღებულ დირექტივებს.

14. მანძილ-შეერთებულობის ოლქის რწმუნებულნი წარუდგენენ სომხეთისა აზერბაიჯანისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოებს პერიოდულ საინფორმაციო მოხსენებებს რესპუბლიკათა მანძილ-შეერთებულობის მდგომარეობის შესახებ; მოხსენებისათვის საჭირო მასალას რწმუნებულნი მიიღებენ ამიერკავკასიის ოლქის სამმართველოსაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ მოხსენებათა ვადებს დააწესებს მანძილ-შეერთებულობის ამიერ-კავკასიის ოლქის უფროსი, სათანადო სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით.

შენიშვნა. სასწრაფო შემთხვევაში, როდესაც სახალხო კომისართა საბჭოს მოთხოვნის თანახმად, სასწრაფო მოხსენების შედგენისათვის საჭიროა მიღება ისეთი ცნობებისა ამა თუ იმ რესპუბლიკის მანძილ-შეერთებულობის შესახებ, რაც ოლქის სამმართველოს არ მოეპოვება, რწმუნებული მოითხოვს აღნიშნულ ცნობებს უშუალო ურთიერთი მიმართვით ამა თუ იმ რესპუბლიკის დაწესებულებათაგან; ამასთანავე რწმუნებული შეატყობინებს ამ გარემოებას ოლქის უფროსს და წარუდგენს ოლქის სამმართველოს იმ ნუსხის ასლს, რაც შედგენილ იყო უშუალოდ შეგროვილი მასალის მიხედვით.

15. რესპუბლიკათა უმაღლესი ორგანოებისაგან მიღებულ ყოველგვარ დავალებას მანძილ-შეერთებულობის სფეროში ოლქის რწმუნებულნი განახორციელებენ მანძილ-შეერთებულობის ამიერკავკასიის ოლქის სამმართველოს მეშვეობით.

16. მანძილ-შეერთებულობის ამიერკავკასიის ოლქის რწმუნებულთან ცალკე ტეხნიკური აპარატი არა ჰყავთ და დაკისრებულ მოვალეობათა აღსასრულებლად გამოიყენებენ იმ კონტორების საკანცელარიო აპარატებს, რომელთაც ისინი განაგებენ.

17. დებულება ესე ძალაში შედის მისი დამტკიცებისთანავე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდ. **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. დეკემბრის 16-ს თარიღის 290 №—ში

დადგენილება № 112 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის დეკემბრის 3.

257. საგარეო ვაჭრობის შესახებ.

რათა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კანონმდებლობა საგარეო ვაჭრობის სფეროში შეთანხმებულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციასთან საგარეო ვაჭრობის შესახებ—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში საქონლის შემოტანისა და გატანის შესახებ 1923 წლის აპრილის 7-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარიღით გამოცემული დეკრეტი (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისა 1923 წ. № 6, მუხ. 65), აგრეთვე დადგენილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოსი, გამოცემული 1922 წლის ოქტომბრის 11-ს—შემოსატანი და გასატანი ბაჟის შემოღების შესახებ (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების საკავშირო საბჭოსი 1923 წ. № 6, მუხ. 52)-922 წლის ოქტომბრის 16-ს სამონოპოლიო საქონლის დამატებითი გამოსაღების შესახებ (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების საკავშირო საბჭოსი 1923 წ. № 6, მუხ. 59) და 1922 წლის დეკემბრის 19-ს—სალიცენზიო გამოსაღების გადახდევინების წესის შესახებ (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების საკავშირო საბჭოსი 1923 წ. № 6, მუხ. 81) ყველა დადგენილებითურთ, რაც კი გამოცემულ იქნა აღნიშნული საკანონმდებლო აქტების განსავითარებლად და დასამატებლად.

2. წინადადება მიეცეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში იხელმძღვანელოს შემდეგში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საათანადო კანონდებულებანი და დაეკისროს მას შეი მუშაოს და გამოაქვეყნოს ინსტრუქციები, ცირკულიარები და ბრძანებანი ამა დადგენილების განმარტებისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 1923 წ. დეკემბრის 16-ს თარიღის 290 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. დეკემბრის 12.

258. კეროსინის სააქციზო დაბეგვრის განაკვეთის შემცირების შესახებ.

კეროსინის სააქციზო დაბეგვრის განაკვეთის შემცირების შესახებ—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა 1923 წლის ნოემბრის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-IV კარის მე-5 მუხლის იმ ნაწილის შეცვლისათვის, რომელიც ეხება კეროსინს,—ამიერკავკასიის ცენტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს კერისონზე სააქციზო დაბეგვრის მტკიცე განაკვეთად 80 საჩერვონცო კაპიკის ნაცვლად, ორმოცი (40) საჩერვონცო კაპიკი ფუთზე.

2. ამა დადგენილების 1 მუხლით დაწესებული განაკვეთი გავრცელებულ იქნეს აგრეთვე კეროსინის ხელთქონებულ მარაგზე, რაც უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული შინა-ვაჭრობის კომისიის მიერ დამტკიცებულ ახალ გასაყიდ ფასებზე გადასვლის დღისათვის აღმოჩნდება გზაში ამიერკავკასიის რკინის გზებზე ან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოთა სათბობი მასალის განყოფილებებისა და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბაზისო საწყობებში და აგრეთვე ცეკავშირისა და სომხეთის კოოპერატივის სასადგურო საწყობებში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომის. საბჭ. თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის დეკემბრის 16-ს თარიღის 290 №-ში.

დადგენილება № 2 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

259. მასიური მოხმარების საგნების გაიაფების ღონისძიებათა შესახებ.

რათა გაიაფებულ იქნეს მასიური მოხმარების საგნები, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოს რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს მთლად ამიერკავკასიის რკინის გზის ხაზზე 2 %-ანი მიზნობრივი გამოსაღები, დაწესებული მასიური მოხმარების შემდეგი საგნებისათვის. ხორბლეულობა (ხორბალი, სიმინდი ქერი და სხვ.), ფქვილი, მარილი, ხორცი, ოთხფეხი საქონელი, თევზეულობა, მწვანილეულობა, შაქარი, საპონი, ასანთი, ფართლეულობა, ნავთის პროდუქტები, ნახშირი და ქვა-ნახშირი, ჟუჯელეულობა თიხისა, ქაშანურისა და მინისა, რკინის ფერსოება, სასალტე, სახურავისა და სხვადასხვა ლურსმანი და რკინეულის ნაკეთობა.

2. გაუქმებულ იქნეს შესწორების კოეფიციენტის გადახდევინება ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ საგანთა მთლად ამიერკავკასიის რკინის გზაზე გადაზიდვის ფრახტის გამოანგარიშების დროს.

3. დაწესებულ იქნეს 1923 წლის მეორე ნახევრის განსაკუთრებული საექსპორტო ტარიფი იმ კეროსინის ფრახტის გადახდევინებისათვის, რაც ამერიკავკასიის რკინის გზათა კეროსინის მილის სადგურებიდან გაცემულ იქნება ადგილობრივ მოსახმარებლად.

4. გაუქმდეს სასაქონლო ბირჟების სასარგებლოდ არსებული გამოსაღები ბირჟის გარეშე მოხდენილ იმ გარიგებათა რეგისტრაციისათვის, რაც შეეხება ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ საგნებს.

5. ამერიკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება აქვს გასცეს ხოლმე ნებართვა ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, როგორც ამერიკავკასისა, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მარილის წარმოებისა საბაზისო საწყობის გახსნისათვის.

ამერიკავკასის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამერკავკასის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. დეკემბრის 16-ს თარიღის 290 №-ში.

დადგენილება № 13 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში.

1923 წლის დეკემბრის 18.

260. ლიცენზიების შესახებ.

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა დეკემბრის 3-ს თარიღითა და 112 №-ით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე ვაცხადებთ:

1. საევროპო შემოსატანი და გასატანი ვაჭრობის ყოველი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის გატანა ან შემოტანა აკრძალულია საბაჟო წესებით, — ჩაითვლება სალიცენზიო საქონლად.

2. იმპორტი და ექსპორტი საქონლისა ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა, კოოპერატივისა, საზოგადოებისა, კერძო ორგანიზაციისა და პირის მიერ სწარმოებს მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით (ლიცენზიით) თვითეულ ცალკე შემთხვევაში. ნებართვას გასცემს ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული სალიცენზიო ბიურო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ლიცენზიისაგან განთავისუფლდება ყველა საექსპორტო-საიმპორტო ოპერაცია, რაც მოხდება დამტკიცებული სახელმწიფო საიმპორტო-საექსპორტო გეგმის წესისამებრ; ლიცენზიის სამაგიერო ამ შემთხვევაში იქნება განსაკუთრებული მოწმობა.

4. საქონლის შემოტანისა ან გატანის ნებართვისათვის (ლიცენზიისათვის) კერძო ორგანიზაციას და პირს გადაეჰდება სახელმწიფოს სასარგებლოდ,—არსებული სბაჟო გამოსაღების გარდა,—სალიცენზიო გამოსაღები საქონლის ღირებულების 2 პროცენტის რაოდენობისა, თანახმად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ სალიცენზიო გამოსაღების გადახდევინების წესის შესახებ ა/წ. ივლისის 18-ს დამტკიცებული განსაკუთრებული ინსტრუქციისა.

შენიშვნა. ხალიჩების გატანისათვის საზღვარგარეულ სალიცენზიო გამოსაღები,—საერთო წესის გამონაკლისად,—გადახდევინებულ უნდა იქნეს იმ განაკვეთისამებრ, რაც აღნიშნულია ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/წ. ოქტომბრის 17 ს თარიღითა და 98 №-ით გამოცემულ დადგენილებაში.

გაუქმდეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებანი, გამოცემული 1923 წ. აპრილის 15-ს თარიღითა და 39 №-ით და 1923 წ. აპრილის 21-ს თარიღითა და 47 და 48 №-ით (გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას"-ს იმავე აპრილის 19-ს თარიღის 87 №-ში და 24-ს თარიღის 91 №-ში) და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს უცხოეთიდან შემოსატანად და გასატანად დროებით აკრძალული საქონლის სია, რომელიც მიღებულ იქნა საუწყებათაშორისო თათბირების მიერ რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კოსისარიატში 1922 წ. ივლისის 15-ს და 29-ს და დამტკიცებული სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს მიერ, ყველა შემდგომი ცვლილებითა დბ დამატებით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერკავკასიის სოც. ფედ.
საბჭ. რესპუბლიკაში **ივანიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას"-ს 1923 წ. დეკემბრის 19-ს თარიღის 292 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წლის დეკემბრის 17.

261. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტეტთან არსებული საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიებისა და საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული შეფთა ბიუროების დებულების IV კარის 12 მუხლის შეცვლის შესახებ.

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისიებისა და საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული შეფთა ბიუროების დებულების IV კარის 12 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„საშეფო საქმის რესპუბლიკანური კომისია და საქალაქო (სამაზრო) შეფთა ბიურო ყოველთვიურად წარუდგენს თავისი მოქმედების ანგარიშს: რესპუბლიკანური კომისია—რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ამავე დროს ანგარიშის ასლს გაუგზავნის ცნობისათვის ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საშეფო საქმის საბჭოს, ხოლო შეფთა ბიურო—სათანადო საქალაქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს და საშეფო საქმის რესპუბლიკანურ კომისიას—კუთვნილებისამებრ“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“-ს 1923 წლის დეკემბრის 22-ს თარიღის 295 №-ში.

დადგენილება № 3 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს.

262. დებულება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ნედლეულობის კომიტეტის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ უმაღლესი ეკონოიური საბჭოს შესახებ დამტკიცებული დებულების (კანონთა და განკარგულებათა კრებული № 10, მუხ. 159) I განყოფილების 9 მუხლისა და IV განყოფილების საფუძველზე—უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ნედლეულობის კომიტეტი არის ორგანო, რომელიც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკის ტერიტორიაზე შემუშავება და განახორციელებს ყველა ღონისძიებას სამრეწველო ნედლი მასალის დამზადებისა, გასაღებისა, შემოტანისა და გატანის საკითხების მოწესრიგების სფეროში. ამავე დროს ნედლეულობის კომიტეტი გამონახავს და განახორციელებს ყველა სხვა ღონისძიებას, რაც ხელს შეუწყობს სამრეწველო ნედლეულობის წარმოების აღდგენას ამიერკავკასიაში.

2. ნედლეულობის კომიტეტის უშუალო გამგეობას ექვემდებარება შემდეგი საკითხები.

ა) შესწავლა და შემუშავება ყველა საკითხისა, რაც კი შეეხება ამიერკავკასიაში სამრეწველო ნედლეულობის წარმოებასა და ვაჭრობის ინტერესებს;

ბ) წინასწარი შემუშავება და წარდგენა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსათვის სათანადო პროექტისა, დეკრეტებისა და დადგენილებებისა, რაც უნდა წარდგინოს საკანონმდებლო ორგანოებს;

გ) მეთვალყურეობა იმ კანონთა და განკარგულებათა განხორციელებისათვის, რაც არსებული წესით გამოცემულია ნედლეულობის წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში;

დ) შემუშავება ეკონომიური პოლიტიკის საერთო საფუძველებისა ამიერკავკასიის სამრეწველო ნედლეულობის წარმოებისა, დამზადებისა და ვაჭრობის სფეროში;

ე) მოწესრიგება და შეთანხმება იმ მოკავშირე ორგანოების სავაჭრო პოლიტიკისა, რომელიც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში აწარმოებენ სამრეწველო ნედლი მასალის ოპერაციებსა;

ვ) მონაწილეობის მიღება იმ ღონისძიებათა შემუშავებაში, რაც შეეხება სამრეწველო ნედლეულობის ექსპორტს, აგრეთვე სტანდარტიზაცია, საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა, გაადვილება და გაიაფება საექსპორტო ოპერაციებისა;

ზ) მონაწილეობის მიღება სხვადასხვა ორგანოს მიერ სათანადო ხელისუფლებისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი საკონცესიო პროექტების განხილვაში და აგრეთვე იმ შერეულ საქციო საზოგადოებათა წესდების და სხვ. განხილვაში, რომელთა მიზანსაც შეადგენს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სამრეწველო ნედლი მასალის სავაჭრო ოპერაციები.

თ) წარდგენა სათანადო მოხსენებისა ამიერკავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში ადგილობრივი ორგანოების მიერ სამრეწველო ნედლეულობის ვაჭრობის მოწესრიგების სფეროში გამოცემულ უკანონო განკარგულებათა გაუქმების შესახებ;

ი) დახმარების აღმოჩენა ნედლეულობის მწარმოებელთათვის კრედიტის მიცემის საქმეში;

კ) ხელისშეწყობა პირველი საფეხურის დამზადებითი აპარატების ორგანიზაციისათვის მწარმოებელთა კოოპერატიულად მოწყობის მიზნით;

ლ) მოწვევა ყრილობებისა, კონფერენციებისა და თათბირებისა სამრეწველო ნედლეულობის წარმოებისა და ვაჭრობის საკითხებისათვის;

მ) გამოცემა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განკარგულებათა, რაც განარიგებს სამრეწველო ნედლეულობის ვაჭრობას; კერძოდ, დაწესება უკიდურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი ფასებისა (მინიმუმი და მაქსიმუმი) ამიერკავკასიის ნედლეულობაზე; რაიონებად დანაწილება დამზადების ტერიტორიისა რესპუბლიკანური, ფედერატიული და მოკავშირე სახელმწიფო და კოპერატიული დამზადებული ორგანოებისათვის; დაწესება საორგანიზაციო და ზედნადები ხარჯის წორმალური პროცენტებისა და აგრეთვე იმ ორგანიზაციების მოგებისა, რომელსაც შემოაქვს ნედლეულობა ამიერკავკასიაში.

შენიშვნა. ადგილობრივი ნედლეულობის ფასს დაწესებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ნედლეულობის კომიტეტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის კომისიის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

3. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა სახელმწიფო ორგანო, რომელიც მოქმედებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში, ვალდებულია წარუდგინოს ამიერკავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ნედლეულობის კომიტეტს ყველა საჭირო მასალა და მისცეს მას საჭირო განმარტებანი.

4. ნედლეულობის კომიტეტის განკარგულებანი, მომქმედი დეკრეტებისა და დადგენილებების ფარგლებში, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავალდებულოა აღსასრულებლად ყველა, როგორც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა, ისე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ორგანოსათვის და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის, და აგრეთვე კერძო პირისათვის. ამის შეუსრულებლობისათვის ან დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს თანახმად იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისა, სადაც მან დაარღვია შინა-ვაჭრობის წესები, უკეთუ ამიერკავკასიის ფედერაციის არსებული კანონებით ან იმ რესპუბლიკის კანონებით, სადაც ქმედობა მოხდა, გათვალისწინებული არ არის სხვა, უფრო მძიმე, პასუხისმგებლობა.

5. ნედლეულობის კომიტეტის დადგენილება ფასების მოწესრიგების სფეროში ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოფიციალურ ორგანოში.

6. ნედლეულობის კომიტეტის დადგენილება და განკარგულება შეიძლება განსაზიერებულ იქნეს დაინტერესებული დაწესებულებისა და პირის მიერ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში, ხოლო ეს ვერ შეაჩერებს ხსენებული დადგენილების თუ განკარგულების სისრულეში მოყვანას, ვიდრე საკითხს არ გადასწყვეტენ აღნიშნული დაწესებულებანი.

7. ნედლეულობის კომიტეტი შესდგება თავმჯდომარისა და ორი მოადგილისაგან, რომელთაც დანიშნავს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო.

8. რათა ყოველმხრივ გაშუქებულ იქნეს ის პრინციპიალური ხასიათის საკითხი, რაც ნედლეულობის საქმის საერთო ინტერესებს შეეხება, ნედლეულობის კომიტეტთან მოეწყობა მუდმივი სათათბირო, რომელიც შესდგება დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ნედლეულობის სხვადასხვა დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის სპეციალისტებისაგან. მუდმივი სათათბიროს შედგენილობას დაამტკიცებს უმაღლესი ეკონომიური საბჭო ნედლეულობის კომიტეტის წარდგენით.

9. სხვადასხვა საკითხის შემუშავებისათვის ნედლეულობის ცალკე დარგების სფეროში მუდმივი სათათბიროს სამუშაო აპარატებად შეიძლება მოეწყოს სპეციალური სექციები.

10. სპეციალურ დაკალებათა აღსასრულებლად ნედლეულობის კომიტეტს უფლება აქვს მოაწყოს დროებითი მომქმედი კომისები.

11. ამიერკავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში მოეწყობა ნედლეულობის კომიტეტი, რომელიც იმოქმედებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკის ნედლეულობის კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით.

12. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ნედლეულობის კომიტეტის დებულებას დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური საბჭო და უშუალოდ წარედგინება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ნედლეულობის კომიტეტს. უკეთუ საჭირო იქნება აღნიშნული დებულების შეცვლა ან დამატება, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ნედლეულობის კომიტეტი წარუდგენს სათანადო მოხსენებას ამიერკავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

13. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ნედლეულობის კომიტეტს უფლება ეძლევა ამა დებულების განსავითარებლად გამოსცეს ხოლმე საჭირო ინსტრუქცია.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. დეკემბრის 22-ს თარიღის 295 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის დეკემბრის 24.

263. სამაზრო საფინანსო განყოფილებათა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სამაზრო საფინანსო განყოფილებათა მოქმედების მოწესრიგებისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემოაღნიშნული დებულება სამაზრო საფინანსო განყოფილებათა შესახებ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების გამოქვეყნებისთანავე გაუქმებულ იქნეს ამ საგანზე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში წინად გამოცემული ყველა დადგენილება და ინსტრუქცია.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭ. მდივნის თანამდებობის
დროებით აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. დეკემბრის 25-ს თარიღის 297 №—ში.

დებულება სამაზრო საფინანსო განყოფილებათა შესახებ.

მუხ. 1. საფინანსო საქმის მართვა-გამგეობისათვის მაზრის ფარგლებში სამასზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწობა სამაზრო საფინანსო განყოფილებანი.

მუხ. 2. სამაზრო საფინანსო განყოფილების მოვალეობას შეადგენს: ა) ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თავის დროზე გამოანგარიშებისათვის, ყოველგვარი გადასახადისა და გამოსაღების წესიერად შემოსვლისათვის და აგრეთვე სათანადო ღონისძიებათა ხმარება ნარჩენის გადახდევინებისათვის; ბ) საშენაწერო ანგარიშწარმოება გადასახადთა და გამოსაღებთა საქმეში; გ) დამზადება და გატარება აღრიცხვისა დაგილობრივ ბიუჯეტში; დ) აღნუსხვა სახელმწიფო და ადგილობრივი შემოსავლის მინაღებისა მაზრაში და წარდგენა საანგარიშო ცნობებისა ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის; ე) წარმოება საკასო ოპერაციებისა სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის სფეროში და აგრეთვე ადგილობრივ საშუალებათა და დეპოზიტთა საქმეში, წარმოება ცენტრალური ხელისუფლების მიერ ნებადართული საბანკო ოპერაციებისა; ვ) გაყიდვა საღერბო და სხვა გამოსაღების გასტუმრების ნიშნებისა; ზ) განხორციელება ყველა სხვა ფინანსიური დავალებისა.

შენიშვნა. 1. ცხინვალში (სამხრეთ ოსეთი) საფინანსო განყოფილების ფუნქციებს შეასრულებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში) რწმუნებულის სამმართველო სამხრეთ ოსეთში. აჭარისტანისა და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკების მაზრაში, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლქის მაზრებში და ნახჩევანის მხარეში სამაზრო საფინანსო განყოფილებათა ნაცვლად—მოეწყობა, საჭიროებისადამიხედვით, მიწერილი კასები; თვითეული ამგვარი კასა იქნება ორგანო ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო რწმუნებულის სამმართველოსი.

3. ტფილისში, ბაქოში და ერევანში მოეწყობა სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების სამაზო-საქალაქო საფინანსო განყოფილებანი, რომელნიც იმოქმედებენ სამაზრო საფინანსო განყოფილებათა სიერთო საუფლებელზე. არსებობა ცალკე საქალაქო და სარაიონო საფინანსო განყოფილებისა—აკრძალულია. უკეთუ საჭიროება მოითხოვს, ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით,—თვითეულ შემთხვევაში ცალკე,—მოეწყობა მიწერილი კასები—ცალკე რაიონებისათვის.

4. სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადის შეწერის გამო აღძრული საჩივრის განსახილველად სამაზრო საფინანსო განყოფილებასთან არსებობს სამაზრო საგადასახადო კომისია. აღნიშნულ კომისიაში შევლენ: თავმჯდომარედ—სამაზრო საფინანსო განყოფილების გამგე და წევრებად—ფინანსთა ინსპექტორი, როგორც მუდმივი წევრი, და თითო წარმომადგენელი სამაზრო პროფესიონალური ბიუროსი და გადამხდელებისა (უკანასკნელი—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დანიშვნით),

ადგილობრივი გადასახადის შეწერის გამო აღძრული საჩივრის განხილვის დროს მიწვეულ უნდა იქნეს აგრედვე კომუნალური მეურნეობის წარმომადგენელი.

მუხ. 5. სამაზრო საფინანსო განყოფილებას შეადგენს კანცელარია და ქვეგანყოფილებანი: ა) საგადასახადო და ბ) საანგარიშო-საკასო.

მუხ. 6. საგადასახადო ქვე-განყოფილების გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) აღსრულება მაზრის ფარგლებში იმ დეკრეტებისა, დადგენილებათა, წესებისა და ინსტრუქციებისა, რაც შეეხება სახელმწიფო პირდაპირი და არაპირდაპირი გადასადით დაბეგვრას და აგრედვე ადგილობრივი გადასახადითა და გამოსაღებით დაბეგვრას.

ბ) უშუალო განხორციელება ლონისძიებათა გადასახადისა და ნარჩენის აკრეფისათვის მაზრაში.

გ) ხელმძღვანელობა ფინანსთა ინსპექციისა და არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექციის მოქმედებისათვის და აგრედვე ხმარება სათანადო ღონისძიებისა, აზრის მასშტაბით, ნარჩენის გადახდევინებისათვის.

დ) საქმის წარმოება გადამხდელთა მიერ სახელმწიფო და ადგილობრივი გამოსაღების შეწერის გამო აღძრული საჩივრების სფეროში და აგრეთვე საქმისწარმოება იმ თხოვნათა განხილვის სფეროში, რაც შემოვა ნარჩენის ვადის განაწილებისა და მოხსნისა და ზედმეტი შემოსული თანხების დაბრუნების შესახებ.

ე) შემუშავება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით შემოსაღები ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების პროექტებისა; დამზადება მასალისა საშემოსავლო აღრიცხვის იმ ნაწილის შედგენისათვის, რაც შეეხება საგადასახადო ხასიათის შემოსავალს.

ვ) შესრულება საშენაწერო ანგარიშწარმოებისა ყველა გამოსაღებისათვის და აგრეთვე სტატისტიკური აღნუსხვა ყველა ადგილობრივი შემოსავლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) რეგისტრაცია აქციზდასადები საგნების დამზადებისა და შენახვის ადგილებისა და აგრეთვე ზედამხედველობა არაპირდაპირ გადასახადთა და გამოსაღებთა აკრეფის წარმოების სისწორისათვის და ამ გადასახადთა და გამოსაღებთა აღნუსხვა მათი სახის მიხედვით.

ი) მიწოდება საღერბო ნიშნებისა იმ ადგილებისათვის, რომელნიც ამ ნიშნებს ჰყოდიან, აგრეთვე ანგარიშიწარმოება და ანგარიშგება საღერბო ნიშნების საქმეში.

მუხ. 7. საანგარიშო საკასო ქვე-განყოფილებას მაზრის ფარგლებში დაეკისრება:

ა) მეთვალყურეობა სააღრიცხვო-საანგარიშო და საკასო საქმეში გამოცემული დეკრეტებისა, წესებისა და ინსტრუქციების აღსრულებისათვის.

ბ) წინასწარი განხილვა, სამაზრო მასშტაბით, ადგილობრივ საშუალებათა აღრიცხვებისა, აგრეთვე შედგენა ადგილობრივ საშუალებათა შემოსავალ-გასავლის საერთო-სამაზრო ნუსხისა.

გ) აღნუსხვა სამაზრო საფინანსო განყოფილების ანგარიშზე გახსნილი საღრიცხვო კრედიტებისა, გამგებლობა საგასავლო განაწილებისა და ცალკე განკარგულებათა და, აგრეთვე, როგორც ამ კრედიტების, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის კრედიტების ასიგნობებად განაწილებისა;

დ) შედგენა ანგარიშებისა ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ე) შედგენა მაზრისათვის სააღნუსხო ანგარიშგებისა და სააღნუსხვო ბალანსისა ნებადართული სამაბკო ოპერაციების სფეროში.

ვ) აღნუსხვა, სამაზრო მასშტაბით, სახელმწიფო შემოსავლის მიღების ქვითართა ბოლაკებისა, ასიგნობათა და საფასური ბლანკებისა სამაბკო ოპერაციების საქმეში; და აგრეთვე შესრულება შემდეგი საქმისა:

ა) მიღება სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა და ფულადი თანხებისა.

ბ) გაცემა თანხებისა სათანადო განმკარგულებელთა ასიგნობებით იმ კრედიტებიდან, საშუალებათაგან და დეპოზიტებიდან, რაც მის ანგარიშზე ირიცხება;

გ) წარმოება ნებადართული სამაბკო ოპერაციებისა;

დ) მიცემა პატენტებისა, გაყიდვა გამოსაღებთა და გადასახადთა გასტუმრების საღერბო და სხვა ნიშნებისა და, აგრეთვე, წარმოება სხვა საკასო ოპერაციებისა ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით.

მუხ. 8. საერთო ხელმძღვანელობა სამაზრო საფინანსო განყოფილებათა მოქმედებისათვის დაეკისრება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო რწმუნებულთ რესპუბლიკებში.

მუხ. 9. სამაზრო საფინანსო განყოფილებების გამგეს დანიშნავს აღმასრულებელი კომიტეტი ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო რესპუბლიკის რწმუნებულთან შეთანხმებით; რწმუნებულს ეძლევა უკუქცევის უფლება. სამაზრო საფინანსო განყოფილების გამგე შეიძლება გადაყენებულ იქნეს მხოლოდ აღმასრულებელი კომიტეტისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ურთიერთი შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 10. სამაზრო საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილედ არის საგადასახადო ქვე-განყოფილების გამგე.

მუხ. 11. დანარჩენ თანამშრომელთა დანიშვნა, სხვა ადგილზე გადაყვანა და სამსახურიდან დათხოვნა—მოხდება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის და მის რწმუნებულთა სამმართველოების შესახებ მომქმედ კანონთა და დებულებათა თანახმად.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის
დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. დეკემბრის 25 თარიღის 297 №—ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის დეკემბრის 24.

264. ბენზინის სააქციზო დაბეგვრის განაკვეთის შემცირების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის ნოემბრის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-IV კარის მე-5 მუხლის შესაცვლელად იმ ნაწილში, რომელიც ბენზინს შეეხება—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს ბენზინისათვის სააქციზო დაბეგვრის მტკიცე განაკვეთი ნაცვლად 1 მან. და 60 კაპიკისა ერთი მანეთი და ო�d. კაპიკი (1 მან. და 20 კაპ.) ფუთზე ან შვიდნახევარი კაპიკი (7,5 კაპ.) კილოგრამზე.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული განაკვეთი გავრცელებულ იქნეს ჭონებულ ბენზინის მარაგზე, რაც უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული შინა-ვაჭრობის კომისიის მიერ დამტკიცებულ ახალ გასასყიდ ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებზე გადასვლის დღისათვის აღმოჩნდება ამიერკავკასიის რკინისგზაზე ან საქართველოს სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკისა და სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების სათბობი მასალის განყოფილებათა და ახერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბაზისო და სასადგურო საწყობებში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის დეკემბრის 28-ს თარიღის 298 №-ში.

დადგენილება № 4 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

265. 1923 წლის სიმინდის მოსავლის საზღვარ-გარედ ექსპორტის შესახებ.

რათა გაუმჯობესებულ იქნეს სოფლის მეურნეობა და გადიდებული სოფლის მოსახლეობის აღებმიცემობის ძალა — ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირს (ცეკავშირს) შეისყიდოს გლეხობისაგან 1923 წლის სიმინდის მოსავლის ზედმეტი ნაწილი საზღვარ-გარედ გასატანად.

2. სიმინდის შესყიდვა მოხდეს ერთიან მომხმარებელ საზოგადოებათა მეშვეობით უშუალოდ გლეხობისაგან და სრულიად ჩამოცილებულ იქნეს საქმისაგან კერძო შუამავალი და ჩარჩი.

3. სიმინდის მტკიცე ფასად დაწესებულ იქნეს 50-საჩერვონეცო კაპიკი ფუთზე რკინის გზის სადგურთან არსებული ფრანკო-საწყობი ერთიანი მომხმარებელი საზოგადოებისა. სოფლად მიღებული სიმინდის ფასი შემცირებულ უნდა იქნეს იმდენად, რამდენიც ეღირება მისი გადაზიდვა ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების სასადგურო საწყობამდე.

4. მთლად ოპერაციისა და სიმინდის რეალიზაციის დამთავრების შემდეგ ზედმეტი ნაწილი სიმინდის გაყიდვით მიღებული თანხისა, იმ თანხის გამოკლებით, რაც დასჭირდება სიმინდის ყიდვას და აგრეთვე ერთიან მომხმარებელ საზოგადოებათა და ცეკავშირის იმ ზედნადები და საორგანიზაციო ხარჯის გამოკლებით, რასაც დაწესებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა-ვაჭრობის კომისია,—გადაირიცხოს სიმინდის შესყიდვის რაიონის სასოფლო მეურნეობის დახმარების განსაკუთრებულ სახელმწიფო ფონდად და გადავიდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებაში.

5. მიღებული თანხის იმ ხედმეტი ნაწილის რაოდენობის განსაზღვრა, რომელიც გადარიცხულ უნდა იქნეს განსაკუთრებულ ფონდში, დაეკისროს ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის კომისიას, რისთვისაც დაევალოს ცეკავშირს, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ოპერაციის დამთავრებისა, წარუდგინოს შინა-ვაჭრობის კომისიას სრული ანგარიში სიმინდის დამზადებისა და ექსპორტის შესახებ.

ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველი
ნ. ივანიშვილი.

ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 1923 წ. დეკემბრის 28-ს თარიღის 298 №-ში.

ნებად. ლ. და ტ. მთავ. № 1224. ს. ს. ბ. უ. ს. ქალ. განყოფ. 1-ლი სტამბა. ტირაჟი 800.